ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4132904

ნომერი: AR1620838

თარიღი : 03.08.2018

გაცემის თარიღი : 23.08.2018

გაცნობის თარიღი : 31.08.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დაბა წყნეთი , ქუჩა სტალინის , N 2 , მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკა ჭუმბურიძე პ/ნ 01018003942
- თბილისი მ.ზანდუკელის ქ. N 15

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 მარტის №3867224 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 03

აგვისტოს №AR1620838 განცხადებით მომართა ნიკა ჭუმბურიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 15 მარტის №3867224 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 მარტის №3867224 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი - წყნეთი, დაბა წყნეთი, სტალინის ქუჩა, N2-ის მიმდებარედ, ი.ბ.ა წყნეთი 101-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.010.434) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 15 მარტიდან 2020 წლის 15 მარტის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2018 წლის 15 მარტის №3867224 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენბლებში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი - 138.5-ის ნაცვლად უნდა იყოს - 122,5 კვ.მ, რაც იწვევს საერთო ფართობის ცვლილებას და 245.2 კვ.მ-ის ნაცვლად შეადგენს 229.2 კვ.მ-ს.
განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ იქნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 31 ივლისის N892018659971-03 გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, რომელშიც აღნიშნულია, რომ 2018 წლის 15 მარტის №3867224 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტში დაფიქსირებული და ბრძანებაში მითითებული საცხოვრებელი ფართები ერთმანეთთან შეუსაბამოა.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები ფართების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება და ტექნიკური შეცდომის გასწორება სამსახურის 2018 წლის 15 მარტის №3867224 ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 მარტის №3867224 ბრძანებაში და ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი: 122,5 კვ.მ, საერთო ფართობი: 229.2 კვ.მ.
2. სამსახურის 2018 წლის 15 მარტის №3867224 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 მარტის №3867224 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.